

საქართველო



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინჟრო

N 1045/01
06/02/2018



აიძ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
საქართველოს რეგისტრაციის № 11
თარიღი: 8 02 2018 წ.

1045-01-2-201802061654



„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)

დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს

ქ.თბილისი, მიცვევიჩის ქუჩა #27, ბინა #1

ბატონო პაატა,

თქვენი 2018 წლის 29 იანვრის #12 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით
თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

დანართი 2 გვერდი.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ინფორმაცია აზიური ფაროსანას შესახებ

აზიური ფაროსანას მავნეობა საქართველოში 2016 წელს წელს აღინიშნა. მან მასშტაბურად დააზიანა თხილის (ნაკლებად - სიმინდის) კულტურა და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა როგორც ცალკეულ ფერმერებს, ასევე საქართველოს ეკონომიკას. უცხოელი ექსპერტების მონაცემებით, 2016 წელს თხილის მწარმოებლების და ექსპორტიორებისათვის მიყენებულმა ეკონომიკურმა ზარალმა დაახლოებით 52.7 - 68.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წლის ნოემბერში, ევროპელ და ამერიკელ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სამეცნიერო წრეების ჩართულობით შემუშავდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია.

2017 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება N588 “აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” და განისაზღვრა ბიუჯეტი. სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ USAID/REAP მხარდაჭერით დაიწყო სამოქმედო გეგმის თანმიმდევრული განხორციელება, კერძოდ:

- აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის განსაზღვრის მიზნით, შეიქმნა მონიტორინგის სისტემა; 21 ათასი მოსაზიდი ხაფანგი-ფერომონი განთავსდა 351 სოფელში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა ქიმიური წამლობის არეალი და ღონისძიებები, წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით და მავნებლის ბიოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა შეწამვლითი ღონისძიებების დაწყების ვადა;
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაეცათ საჭირო ინსექტიციდი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- ქიმიური წამლობისას გამოყენებული იყო მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების მიერ რეკომენდებული ბიფენტრინის ჯგუფის პრეპარატი, რომელიც მავნებელთან ბრძოლისას ყველაზე ეფექტურია და გამოცდილია საქართველოში;
- სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 110 000 ჰექტარზე მეტი ფართობი დაამუშავა. სპეციალური ტექნიკით (სატრაქტორე და სამანქანე აგრეგატები) და ავიაციის გამოყენებით სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში ჩატარდა მასშტაბური შეწამვლითი ღონისძიებები. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა საჭირო რაოდენობის პრეპარატები. ღონისძიებების ჩასატარებლად პრეპარატები ასევე გადაეცა გალის რაიონს.
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამეგრელოს, გურიის, აჭარის და იმერეთის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მავნებელი მასიურად არის გავრცელებული, მოსახლეობას, დაახლოებით 230 ათას ოჯახს, უსასყიდლოდ გადაეცა პრეპარატები, ფერომონები და საინფორმაციო მასალები;
- საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, USAID/REAP-ის მხარდაჭერით დაიბეჭდა და გავრცელდა 700 ათასზე მეტი საინფორმაციო ბროშურა; მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები და განთავსდა ცენტრალურ და რეგიონულ ტელეარხებზე; 1000-ზე მეტი საინფორმაციო მასალა გავიდა საინფორმაციო საშუალებებში (ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო სააგენტო, ბეჭდური მედია, ინტერნეტმედია); გააქტიურდა სურსათის ეროვნული სააგენტოს სოციალური ქსელი და ვებგვერდი; 12 000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და რეგიონებში გავრცელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაზეთის “ჩვენი სოფელი” სპეციალური ნომერი.

2017 წელს ფაქტიური დანახარჯი ქვეპროგრამაზე „აზიური ფაროსანას საწინააღმდეგი ღონისძიებები“ იყო 30 944 346 ლარი (31 190 576 ლარი დამტკიცებული ბიუჯეტიდან);

2018 წელს ქვეპროგრამაზე დამტკიცებული ბიუჯეტია 14 000 000 ლარი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს აზიური ფაროსანას მართვა, მისი პოპულაციის შემცირება და სასოფლო სამეურნეო კულტურების დაზიანებისა და ზარალის მინიმუმამდე დაყვანა.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებებში აქტიურად ჩართვის მიზნით;
- მავნებლის გავრცელების დადგენისა და ღონისძიებების დროულად გატარების მიზნით მუდმივი მონიტორინგი ქვეყნის მასშტაბით;
- მავნებლის ქიმიური და მექანიკური მეთოდებით მართვა;

2017 წელს მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, 2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განხორციელდება დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე დადგენილია მავნებლის პოპულაციის არეალი და დიდი რიცხოვნობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, საწყის ეტაპზე ძირითადად ჩატარდება მონიტორინგი და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ქიმიური ღონისძიებები.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მავნებლის სრული მოსპობა შეუძლებელია. შესაძლებელია მისი პოპულაციის კონტროლი და მართვა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას და მოსავლის დანაკარგების მინიმუმზაციას 5-15 %-ის ფარგლებში.

პროგრამის ფარგლებში, ბრძოლის ღონისძიებათა ძირითადი მიზანია გარემოსადმი ნაკლებად მავნე ტექნოლოგიების გამოყენების გზით აზიური ფაროსანას რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

აზიური ფაროსანას ბუნებრივი მტრებიდან, *Trissolcus*-ის და *Telenomus*-ის გვარებიდან ცნობილია რამდენიმე სახეობა, რომლებიც არეგულირებენ ფაროსანას რიცხოვნობას ბუნებაში.

მსოფლიოში წამყვანი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ბიოლოგიური კონტროლისათვის ყველაზე ეფექტიანია მცირე ზომის (1,5 მმ) კვერცხის პარაზიტოიდი მწერი *Trissolcus japonicus*, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიის (იაპონია, ჩინეთი, კორეა) ქვეყნებში, სადაც ბუნებრივად ანადგურებს აზიური ფაროსანას კვერცხების 70-90 %-ს და არეგულირებს ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობას. ამდენად, აღნიშნულ ქვეყნებში აზიური ფაროსანა არ წარმოადგენს საშიშ მავნებელს და ამ სახეობას რაიმე განსაკუთრებული ზიანი არ მოაქვს მათი სოფლის მეურნეობისათვის.

2018 წლის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი შესაბამისი ლაბორატორიის აღჭურვა და საქართველოს პირობებში არსებული ბიოაგენტების შესწავლა შემდგომში აზიური ფაროსანას კონტროლის მიზნით.

რაც შეეხება რაიმე ახალ ბუნებრივ მტერს, მათ შორის *Trissolcus japonicus*-ს, მისი შემოყვანა საქართველოში მოხდება მხოლოდ შესაბამისი სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და რისკების შეფასების შემდეგ.